№ 111 2 მარიამობისთვე, სამშაბათი 1866–1877 2 მარიამობისთვე, სამშაბათი № 111

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**ხუთი თვის ხელის-მოწერა**

## „დროებაზე"

**პირველი აგვისტოდამ ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდინ**

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების" აგენტებთან.

**ფასი** ხუთი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба."*

**უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც შეიძლება მალე გაასწორონ ანგარიში და ხვედრი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.**

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ლონდონი**, 29 ივლისს. ლორდ დერბიმ გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ იმას ძალიან აკვირვებს ხმა, ვითომც ინგლისი მარჯვე შემთხვევას ეძებსო, რომ ხელი მოუწყოს ოსმალეთის განაწილებასაო.

**ბელგრადი**, 30 ივლისს. სერბია ყოველს ღონეს ხმარობს, რომ 40,000 კაცი დაამზადოს საომრად.

**იშტლი**, 28 ივლისს. გერმანიის იმპერატორი წავიდა დღეს აქედამ; ისა და ავსტრიის იმპერატორი ძალიან მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს.

**ლონდონი**, 28 ივლისს. ეგვიპტე ახალს ჯარს აგროვებს ოსმალეთის დასახმარებლად და ბრძოლის ველზე გაგზავნის ამ მოკლე ხანში.

**ალექსანდრაპოლი**, 29 ივლისს. ამ თვის 24-დამ მტერმა დაიწყო წამოწევა; გადმოვიდა ჩინგილის და ყარავანსარაის ქედებზე და გროვდება ღენერალ ტერ-ღუკასოვის ატრიადის (იგდირის) პირ-და-პირ სოფელს ალი-ყოჩაღში. ბაშიბუზუყები და ქურთები, რომელთაც უკან ექვსი ბატალიონი ოსმალოს ჯარი მოჰყვებოდა, სოფ. ზორადამ და ყუნჯოხიდამ გადმოვიდნენ, განდევნეს ჩვენი პიკეთები (ყარაულად დაყენებული ჯარი) და დაიჭირეს სოფ. ალი-ყოჩაღი; შემდეგ დაუარეს უკან მიმავალ უმანის ყაზახების პოლკს, უნდოდათ სოფ. ჰალფაშოაელოთ; მაგრამ დრაგუნებმა უკან დააბრუნეს.

ჩვენის მხრით მოკლულია 4 სალდათი; დაჭრილი არიან: უმანის პოლკის სტარშინა ხოხუნჯაკოვი, სოტნიკი სავიცკი და 13 კაცი, მტერმა 9 კაცი დასტოვა ბრძოლის ველზედ.

**სტამბოლი**, 29 ივლისს. იზმაილ-ფაშა იწერება, რომ 25 ივლის ჩვენმა ჯარმა აილო მასსუყი, გადავიდა საზღვარზედ, ორი საათის სავალი გაიარა საზღვრიდამ და ზერლიტამდინ მივიდაო.

**პეტერბურღი**, 31 ივლისს. გაზეთს „Новое Время"-ს მოუვიდა ბუხარესტიდამ შემდგომი დეპეშა: „ტირნოვის გარეშემო მთებს ძალიან ამაგრებენ. მეჰმედ-ალი-ფაშის არმია რვა საათის სავალზედ დგას რუსების მთავარ არმიაზე მოშორებით. რუმინია აცხადებს, რომ, ამ ომში დახმარებისათვის, დობრუჯა მე უნდა მერგოსო.

**ვენა**, 30 ივლისს. რუსები ამაგრებენ რასოვასა და მეჯიდიეს.

**ათანა**, 30 ივლისს. საბერძნეთის ჯარი ოსმალეთის საზღვრისაკენ გაემგზავრა ლამჯარში. ათინის ხალხმა ალტაცებითა და დიდის ამბით გააცილა ეს ჯარი. კანდიის კუნძულზე დიდ-ძალი აჯანყებულები გროვდებიან.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

მართალია, ჩვენგან, აზიის ბრძოლის ველისაკენ, ამ უკანასკნელი თითქმის ორი კვირის განმავალობაში შესანიშნავი არა მომხდარარა; მაგრამ, საუბედუროთ, რაც ხდება, იმასაც ვერ ვტყობულობთ თავის დროზე ვერც აქ, კავკაზიაში, და ვერ ტყობულობენ ვერც რუსული გაზეთები.

ამის გამო ჩვენცა და რუსული გაზეთებიც იძულებული ვართ, რომ ეს ამბები, რომელიც აქ, თითქმის ჩვენის ცხვირის წინ ხდება, უცხო ქვეყნების გაზეთებიდამ ამოვკრიბოთ და ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებსა.

ამ გარემოებაზე ორმა რუსულმა გაზეთმა „Моск. Вѣд." და „Голосъ"-მა რამდონიმეჯერ მიაქციეს რუსის საზოგადოების ყურადღება და თუ იმათი მოთხოვნილება შეწყნარებული არ იქმნა, ალბათ ერთი რამ მიზეზი ყოფილა, რომლის გამოც ამ გარემოების გასწორება ვერ ხერხდება. . . .

—

„რეიტერის აგენტობაში" დაბეჭდილია 18 ივლისს არზრუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც შემდეგ ამბავს იწერება:

„რუსების მთავარ არმიაში განსაკუთრებული მოძრაობა და ფაცა-ფუცია. გუშინ, 15 ივლისს, რუსის ატრიადი წავიდა ჰიჯენსისაკენ, ოსმალოს მთავარ არმიის ბანაკის დასათვალიერებლად. სამი ფაშა: ჰასანი, ფაიკი, მეჰმედ და რივიოტი იმ წამსვე გაგზავნილი იყვნენ მუხთარ-ფაშისაგან ამ ჯარის შესაგებებლად. იალმის მთასთან ორივე მოწინაალმდეგე ჯარები შეეტაკნენ ერთმანეთს და სამი საათის განმავალობაში სროლა იყო. რუსების ჯარები უკან დაბრუნდნენ. ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი—თუ რამდენი კაცია ორივეს მხრით დახოცილი. ოსმალებმა შვიდი რუსის ყაზახი ტყვეთ წაიყვანეს."

—

იმავე ზემოხსენებულს გაზეთში დაბეჭდილია არზრუმიდამვე 21 ივლისს მიღებული დეპეშა:

„ღენერალ-ადიუტანტს ლორის-მელიქოვს მოუვიდა რუსეთიდამ 14 ბატალიონი ახალი ქვევითა ჯარი და სამი მინდვრის ბატარეია. ამის შემდეგ ლორის-მელიქოვმა დაიწყო ხელ-ახლად წინ წამოწევა და ამ უკანასკნელი ორი დღის განმავალობაში აქეთკენ თითქმის გაუწყვეტელი შეტაკება რუსისა და ოსმალოს ჯარებს შუა.

„ღენერალ-ლეიტენანტმა ტერ-ღუკასოვმაც მიიღო ახალი ჯარი, 5 ბატალიონი ქვევითა, ერთი ცხენოსანი პოლკი (დრაგუნები) და ერთიც ბატარეია.

„ერთი ატრიადი რუსის ჯარებისა პენიაკისაკენ წავიდა.“

—

ვენელს გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ყარსიდამ მიღებული:

„რუსის ჯარმა, რიცხვით 9 დივიზიამ (?) დაიწყო ხელ-ახლად წინ წამოსვლა ყარსისაკენ და დაიჭირა ანი, მალასზერი და დილარი. მარჯვენა მხარი ოსმალოს არმიისა ყარსს მიუახლოვდა.“

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ქურუქ-დარიდამ 25 ივლისს მიღებული შემდეგი ტელეგრამმა:

სოფლებს საიზალსა და იდილ-თირთან, არტაანის მახლობლად, პოლკოვნიკს კამაროვს ჰქონდა შეტაკება ქურთების წინამძღოლთან მუსრ-ალისთან, რომელსაც 2,000 ცხენოსანი ჰყავდა. რუსის ჯარს დაეხმარა ორი ბათალიონი ახალი ჯარი, რომელიც ბრძოლის დროს პოდპოლკოვნიკმა თ. ბარიათინსკიმ მოიყვანა და ამ ნაირად მტერი გააქციეს.

„ჩვენის მხრით ორია მოკლული. მტერმა 30 მკვდარი დასტოვა ბრძოლის ველზედ.“

—

ვენიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, ვითომც იქაურს გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილი იყო, რომ ბათუმში მოვიდა ამ დღეებში ვარნიდამ გაგზავნილი 25 ბატალიონი ახალი ჯარიო.

—

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ბუხარესტიდამ იწერებიან, რომ რუსები ამაგრებენ, ბრძოლის დაწყებისათანავე, პირველად დაჭერილ ქალაქებს: ხირსოვს, მაჩინსა და ტულჩას, რადგან დობრუჯოში დიდ-ძალს ჯარს მოელიან ოსმალოსაო.

—

პეტერბურღის „ნემეცური გაზეთი“ გვაცნობებს, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა თავისი 70,000 კაცით შეუერთდა ახმად-ეიუბ-ფაშის ჯარსაო და ახლა ეს შეერთებული ჯარი ერთად იმოქმედებენ ბულგარიაში რუსების წინააღმდეგაო.

ამავე გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის სამხედრო სამინისტრო ზამთრისათვის ამზადებს ყველაფერს, რაც ბრძოლის საქმეში ჯარს დასჭირდებაო.

—

სტამბოლიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ოსმალოს ჯარს ისევ უკანვე აუღიათ რუსებისაგან დაპყრობილი ქალაქები ენი—ზაგრა და ყაზანლიყი, ბალკანის გადაღმა რუსების ხელში ამ ჟამად მხოლოდ შიპკის ხევი (გასასვლელი) არისო.

—

„ჰავასის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ სტამბოლისყველა მეჩითებში წაუკითხავთ ახალის შეიხ-ულ-ისლამის (სამღვდელოების უმთავრესი პირის) ყარა-ეფენდის დარიგება, რომელშიაც ის უქადაგებს და ურჩევს ყველა მაჰმადიანებს, რომ არ შეეხონ ქრისტიანების სიცოცხლეს, სახლკარსა და საზოგადოთ ქონებას.

—

ბუხარესტელი კორრესპონდენტი ნემეცური გაზეთის „Neue Freie Presse“-ისა იწერება ამ ქალაქიდამ 20 ივლისს, რომ პლევნაში გაჩერებულ ოსმან-ფაშის არმიას ყოველ დღე ახალ-ახალი ჯარი მოსდისო და როგორც დარწმუნდებაო, რომ ამ ქალაქიდამ რუსების მხრით არაფერი შიში აღარა აქვს, იმწამსვე ნიკოპოლისა და სისტოვოსაკენ გასწევს თავის 60,000 კაცით და განზრახვა აქვსო, რომ ეს ქალაქებიც ისევ წაართვას რუსებსაო.

—

გაზეთს „Голосъ“-ში დეპეშიდამ ვტყო·

---

# ფელტონი.

## და-ძმაზე ამოსული რცხილა

(ძველი ამბავი)

სოფელ ატენს მიმავალი შენიშნავს ერთ გორაზე მოზდილ ციხეს, როდესაც სოფელ ჯებირს გასცდება, მარჯვენა მხარეზე. ამ ციხის მახლობლათ არის ნაეკკლესიარი. ახლა ძლივსღა ეტყობა, რომ აქ ერთ დროს ყოფილა ეკკლესია.

ამ ეკკლესიის შუაგულს ალაგზედ სდგას წყვილი რცხილის ხე, რომელზედაც შემდეგი ძველი ამბავი ადგილობრივი სოფლის ხალხისაგან გამიგია:

ამბობენ, ვითომც ერთი ვიღაც ბარბაროსი თავადიშვილი ყოფილიყვეს, რომლის დაუკითხავადაც არავის შესძლებია თავის ქალის გათხოვება; იმის უნახავთ არავის შეეძლო ან ცოლი მოეყვანა ვისმე: უეჭველად იმას წილი უნდა ჰქონოდა პირველ ღამეს იმის საკუთრებაშიო...

ერთი სიტყვით, გლეხი კაცი ადამიანათ არ მიაჩნდაო, ერთ უბრალო დანაშაულზე რამდენნაირ წვალებას მიაყენებდაო, ცემით, შიმშილით, დამწყვდევით, ხარივით უღელში შებმით და სხვა ვინ მოსთვლისო!

აი ამ ბატონის უკმაყოფილო ერთი ყმაწვილი გლეხი, რომელსაც ველარ შეუძლია იმისი ხელზე სამსახური და უანგარიშო მხეცური ტანჯვა იმისაგან, გამოქცევია ამ სოფელში. აქ იმას ამოუჩენიან მაჭანკალი დედაკაცები; როგორც მოგეხსენებათ გლეხის ქალების ანბავი—ვინ გაათხოვონ, ვის ცოლი შერთან; აი ერთ ამ გვარ ქალებთაგანს აუჩენია ამ ბიჭისთვისაც ერთი ლამაზი ქვრივი საცოლოთ, და მალეც მიუყვანიათ ხუნგლის ეკკლესიაში ჯვრის დასაწერათ. მღვდელსაც არა დაუდევნია-რა, რადგანაც იმის ჯიბეს ხელის ჭუჭყი მოსცხებია....

მაგრამ, როდესაც სახარების გარშემო უტარებია მეფე-პატარძალი მღვდელს და უთქვამს: „ექორწინება მონა შენი ივანე მხევალსა ზედა მარიამზე!“ ამ დროს უჭექნია საყდარს და თან ჩაუტანია ყველანი მღვდლიან-ხალხიანათ....

მერმე შეუტყვიათ, რომ ის ქალი იმ ბიჭის—თავის საქრმოს და ყოფილა; და ბიჭსა (ძმას) არ სცოდნია თავის დის გათხოვება, რადგანაც ბატონის ჩუმათა ყოფილა გათხოვილი ამ სოფელში ის ქალი....

აი ამ ამბავზედ არის ნათქვამი ხალხისაგან ეს ლექსი:

ხუნგრის საყდარი აშენდა,
დააყენეს წირვა.
საქორწილოთ მიიყვანეს
ქალ-ვაჟი და სვინა.

—

არავინ გამოიკითხა:
— ქალ-ვაჟია ვინა?
და-ძმანი თურმე ამოჩდნენ
წმინდა ტრაპეზ წინა....

—

ღმერთი განრისხდა ამაზე,
რისხვა მოავლინა:
სულ დაარღვია საყდარი
თავით-ბოლომდინა!

—

შიგ მოაყოლა ყველანი,
ქალ-ვაჟი და სვინა,
მის გამოთაც ასე მოხდა,
ღმერთმა შეაცდინა!

—

და-ძმანი განისვენებენ
აბრამის წიაღ შინა!
იმ და-ძმაზე ამოვიდა
შუა საყდარს რცხილა....

ი. ს. დ.

ბულობთ, რომ სულეიმან-ფაშა თავის ჯარით ბალკანის იქითა მხრით მყოფს ღენერალ გურკოს მისწოლია ასე, რომ ამ ღენერლის საქმე ძალიან ცუდათ არისო. გურკოს გამოუცხადებია, რომ სანამ უკანასკნელი ღონის-ძიება მექნება არაფერს არ დავზოგავ და ერთხელვე დაჭერილ ადგილებს არ დაუთმობ ოსმალებსაო.

—

სულეიმან-ფაშისაგან სტამბოლში მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ენი-ზაგრისთან შეტაკების დროს, რუსების მხრით უკანასკნელი 2,000 კაცი არის მოკლული და დაჭრილიო; ჩვენის მხრით კი 171 კაცი მოჰკლეს და 560-მდინ დაჭრილი გვყავსო.

მეორე დეპეშა მეჰმედ-ალი-ფაშისა ამბობს, რომ იმ დღეს, რა დღესაც ოსმან-ფაშამ ასე საშინლად დაამარცხა პლევნასთან რუსები, მეც რაზგრადთან დავამარცხე ისინიო.

იგივე მეჰმედ-ალი-ფაშა იწერება, სხვათა შორის, რომ რუსები ახლა ორ ნაწილად ჰყოფენ თავის დუნაის ჯარსაო; ერთი კორპუსი იმოქმედებს პლევნის, ნიკოპოლის და სისტოვოსაკენ და მეორე ნაწილი კი მდინარე იანტრის ნაპირისაკენო.

# საქართველო

## დღიური

** ნოვგოროდელი კორრესპონდენტი რუსული გაზეთის „Голосъ“-ისა იწერება, რომ ამას წინეთ ჩვენს ქალაქში მოიყვანეს რამდენიმე ასი კაცი კავკასიელებიო. ამ გარემოებამ დიდი მღელვარება აღძრა ჩვენს საზოგადოებაში, ყველა ჰკითხულობდა—თუ ვინ არიან ესენი, რისთვის და სად გამოგზავნილიო. ბოლოს შევიტყეთ, რომ ესენი ყოფილან თერგისა და დაღესტნის მაზრის მთიული მცხოვრებლები, რომელნიც ხშირად არეულობას ახდენდნენ, არ ასვენებდნენ იქაურს მშვიდობიან ხალხსაო და ამის გამო, კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით რამდენიმე სოფლიდამ აჰყარეს და შუაგულ რუსეთში ასახლებენო.

ნოვგოროდის გუბერნიაში, კორრესპონდენტის სიტყვით, 500 კაცია სხვათა შორის დასასახლებელად გაგზავნილი. ამის გარდა უნდა გაგზავნონ და დაასახლონ კიდევ რამოდენიმე ასი კაცი ვოლოგოდისა და ვორონეჟის გუბერნიებში.

** ამ საშინელი სიცხის გამო, რომელიც ჰსუფევს ამ ჟამად ჩვენს ქალაქში, ხალხი სწორეთ ბატებივით ჰყრია მტკვარში და დილიდამ საღამომდინ ბანაობენ. ეს გარემოება, საუბედუროთ, თავის მსხვერპლს თხოულობს: ამ უკანასკნელი სამი დღის განმავალობაში, სხვათა შორის, ბანაობის დროს, ერთი ვიღაც დედაკაცი დაიღრჩო მტკვარში და ერთიც იმერელი, ორივე გაუფრთხილებლობისა გამო.

** დუშეთიდამ სწერენ გაზეთს „კავკაზში“ რომ ამას წინათ ჩვენს ქალაქში სოხუმის მაზრიდამ წამოსულმა ბოლგარიელებმა, გაიარესო რამდონიმე წელიწადია იქ ესახლნენ და ახლა ოსმალოს ჯარს და უკან დაბრუნებულ ჩერქეზებს გამოექცევიანო.

ამავე ქალაქიდამ იწერებიან რომ ამ დღეებში აქ მოიყვანეს რიონის ატრიადიდამ 50 დაჭრილი ქართველიო, რომელნიც აქაურს საავათმყოფოებში დააწვინესო.

** დუშეთიდგამ გვწერენ, რომ 26 ამ ივლისის, დილით, 11-ს საათზედ, ცეცხლი მოეკიდებინა ვისმეს წილკნის სტანციის მახლობლად, ნამჯისათვის, რომელიც სტანციის ნახევრის სიშორეზედა სდგას. იმ ადგილიდგან მოსდებოდა ცეცხლი რამდენიმე დღიურ ძნებსა და ძრიელის ქარისაგან მიეწივნა ცეცხლს ს. ნაოზამდინ და მოზდებოდა ამას. ვიდრე საშუალების მიმცემი ვინმე აღმოჩნდებოდა, ვიდრე გადამწვარა სოფ. ნაოზაში მრავალი შენობაები, ბაღები მშვენივრათ მსხმოიარე, აგრეთვე მზათ კალოებზედ მიზიდული ძნა. სოფლის ხალხი უცებ გამოსულა კარზედ და უყურებს თავიანთ შრომით შეძინებულს ქონებას და ველარა ფერი ველარა მოუგონიათრა, ამ უბედურის შემთხვევის დროს, თუმც გამოცვინულან გაღმა ს. ჭოპორტიდანაც მრავალი ხალხი, მაგრამ ვერც ამათ ვერაფერი საშუალება ვერა მიუციათრა მათთვის.

ამ ს. ნაოზაში სცხოვრებენ აზნაურნი ოსიტოვნი და მრავალნი გლეხნი.

იგინი ადგენენ რამდენიმე ათასის მანეთის ზარალს: შენობაებს, ბეღლებსა და ძნებსა და სხვ. და სხვა.

დიდ მოსავალს მოელოდნენ თურმე წელს როგორათაც ხორბლისა, ქერისა, აგრეთვე ღვინისა; ამ შრომამ მუქთათ ჩაუარა ნაოზელებსა.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

მითჰხად-ფაშამ კიდევ აალაპარაკა ქვეყანა; და ეს ისეთი კაცია, რომ შემდეგშიაც არა-ერთხელ აალაპარაკებს ამ ქვეყანასა.

ამბობენ, რომ ის სტამბოლში გამოიხმო ხუნთქარმაო, მაგრამ სანამ თავის ქვეყანაში დაბრუნდებოდეს, მიანდო ლონდონში და ვენაში წასვლა და ინგლისის და ავსტრო-ვენგრიის მმართებლობასთან მოლაპარაკება

მართლაც, ის მივიდა ვენაში, ნახა და ელაპარაკა ოსმალოს ელჩს ალეკო-ფაშას და ავსტრო-ვენგრიის სამინისტროს თავმჯდომარეს —ანდრაშის. ყოველ იმის ნაბიჯს, ყოველ იმის სიტყვას ვენის გაზეთები განსაკუთრებითს ყურადღებას აქცევდნენ და დაწვრილებით აგვიწერენ.

რამდენათაც ამ გაზეთებში მოყვანილ სიტყვებიდამა სჩანს, მითხად-ფაშას იმედი აქვს თურმე, რომ ოსმალეთი ასე მალე და ასე ადვილათ არ დაიღუპება. მართალია, ჩვენი საქმე ცუდათ მიდის ამ ჟამად განსაკუთრებით ევროპის ბრძოლის ველზედაო, უთქვამს მითჰხად-ფაშას ვენის გაზეთის ერთი თანამშრომელისათვის, მაგრამ არც სულ ისე ცუდათ მიდის, რომ იმის გამობრუნება არ შეიძლებოდესო. ახლა ჩვენ ყველაზე უფრო ფულები გვეჭირება ომისათვის და თუ ვიშოვნეთ მერე ჩემ ქვეყანას არაფრის შიში არ უნდა ჰქონდესო.

„მაგრამ, ვსთქვათ, დაგვამარცხეს ჩვენ რუსებმა. რა გამოვიდა მაშინ? ეს არ უნდა დაივიწყოთ ინგლისისა და ავსტრიის პოლიტიკოსებმა, რომ ოსმალეთის დამარცხება ერთსა-და-იმავე დროს იმათი ქვეყნის დამარცხებაც იქნება.

„ჩვენ წაგვართვეს, ვსთქვათ, ბალკანის ნახევარი-კუნძული და აზიაში გაგვრეკეს. აზიაც ჩვენი ქვეყანაა, იქ ჩვენ არა გვიშავს-რა. მაგრამ ევროპაში რაღა მოხდება? რა დაემართება მაშინ ავსტრიას? სლავიანები, უეჭველია, გაძლიერდებიან, ისინი დაჩაგვრენ ვენგრიელებს; ნემეცები, ადრე იქნება თუ გვიან, მოშორდებიან ავსტრიას და ამ ნაირად ეს სახელმწიფოც დაირღვევა, მოისპობა. და ოსმალეთის დამარცხებით რომ ინგლისის ვაჭრობასა და საზოგადოთ ეკონომიურ მდგომარეობას დიდი და საგრძნობელი ზარალი მიეცემა—ამას მხოლოთ ბრმა არ უნდა ხედავდეს.

„აი ეს ბოლო მოსდევს ოსმალეთის დამარცხებას. ამას კარგათ ხედავენ ამ ქვეყნების პოლიტიკოსები და ამიტომაც მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ გაჭირება მოგვადგა, ბოლოს ისინი დაგვეხმარებიან და რუსებს არ შეაჭმევინებენ ჩვენ თავს.“

## სპარსეთი

ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ რადგან სპარსეთის ქურთები გადავიდნენ რუსეთის სამზღვარზე და ამ ბრძოლაში ოსმალოს ქურთებთან ერთად იღებენ მონაწილეობას, ამის გამო სპარსეთის მმართებლობამ ჯარები

გამოიყვანა და ოსმალოს სამზღვარზე დააყენაო იმ განზრახვით, რომ ქურდები არ გაუშვან ამ სამზღვარს იქითაო.

# ნარევი

ერთი რუსული გაზეთის („Голосъ") კორრესპონდენტი ასე აგვიწერს ალექსანდროპოლის არმიის მთავარ-სარდლის ღენ.-ადიუტ. ლორის მელიქოვს, ზივინთან დამარცხების შემდეგ მეორე დღეს:

„. . . მე ავდექი და მივიხედ-მოვიხედე. ვხედავ ღენ.-აიუტანტი ლორის მელიქოვი დგას თავის კარავთან და რაღაცა ბრძანებას აძლევს. მერე იმან მოითხოვა სკამი და იქვე დაჯდა. სახე სრულებით გაყვითლებული ჰქონდა; თვალებ ქვეშ დალურჯებული. საშინელი მწუხარება და დაქანცულობა იყო იმის სახეზე გამოხატული. ეტყობოდა, რომ იმას მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს. გული დამიწვრილდებოდა, როცა იმას ვუყურებდი . . .

„ეხლა ვსცანი — თუ რა მძიმე ყოფილა სარდლის პასუხის-გება. ახლა ვსცანი — თუ რას უნდა გრძნობდეს სარდალი, როცა ის დამარცხებულია. დღეს გაიმარჯვა — მთელი ქვეყანა იმის ქებაშია, სახელი შეიძინა, ყაელა იმას ადიდებს, ჭკუას უქებენ მოხერხებას, ვამჭრიახობას. ხვალ დაამარცხეს — ყოვლის მხრით აძაგებენ, აგინებენ, ვინც გუშინ ადიდებდა, დღეს გროშათაც აღარ აგდებს არც იმის ჭკვას, არც მოხერხებას, არც მხნეობას. ყველა სულელი კი ფეხს წამოჰყოფს და უსწორებს შეცდომაებს. ამას გარდა როგორუნლა აწუხებდეს იმის სინიდისს ამ დაჭრილების, დახოცილების ნახვა . . ."

* * *

ერთს შვეიცარიულს გაზეთში იწერებიან, რომ ციურიხის კანტონის მმართებლობამ ნება მისცა ყველა ჰირისუფალს ვისაც სურს, რომ თავის მიცვალებული, დამარხვის მაგიერ, დასწვან.

# განცხადებანი

ისყიდება „ცისკრის" ნომრები 1857 წლიდამ უკანასკნელ წლამდისინ. მხოლოთ ზოგი წლისა სრულად არ არის. ფასი სრული წლის ნომრებისა ექვსი აბაზი და თითო ნომერისა ორი შაური. მსურველს შეუძლია მიმართოს მელიქიშვილის სტამბაში.

(3 – 2)

პ რ ი ს ი ა ჟ ნ ი ს პ ო ვ ე რ ე ნ ი
რიმსკი - კორსაკოვი
კისრულობს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა.
სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი.

# „კ ე კ ე თ ი"

სარძეო სარდაფს „კეკეთში", ყოველ დღე ისყიდება: კ ა რ ა ქ ი, ნ ა ღ ე ბ ი, მ ე ტ ა ნ ა, ტ ვ ო რ ო გ ი, ყ ვ ე ლ ი, უ დ უ ღ ა რ ი და ა დ უ ღ ე ბ უ ლ ი რ ძ ე და მ ა წ ო ნ ი. —

ამ ზაფხულს მსურველთ კოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეთი" იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

პრეის-კურანტი

თ. ივანე კოსტანტინეს ძის ბაგრატიონ-მუხრანსკის

სარდაფებიდამ 1877 წელს გამოსულ

# ღვინოებისა

თფილისში, საკუთარს სახლში, გოლოვინის პროსპექტზე.

| რომელი წლის ღვინოა | სორტი ღვინისა | ფასი ბოთლისა უბოთლოთ მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| | მუხრანი | | |
| | თეთრი № 1 — — — — — — — | " | 60 |
| 1874 | " 2 — — — — — — — | " | 40 |
| | " 3 — — — — — — — | " | 30 |
| — | წითელი № 1 — — — — — — — | " | 60 |
| — | " 2 — — — — — — — | " | 40 |
| | " 3 — — — — — — — | " | 30 |
| | „მეფის" ღვინო | | |
| | თეთრი — — — — — — — | 2 | " |
| | წითელი — — — — — — — | 2 | " |

თითო ბოთლისათვის მყიდველი სტოვებს სამ შაურს, რომელსაც უკანვე მიიღებს, როცა ბოთლს მოიტანს.

(3—1)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 28 ივლისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 262 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 1/2 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 207 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 207 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5 1/2 | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 31 ივლისს | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 20 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 80 |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 20 |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 54 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 25 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 7 | 97 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Августа 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი